info@central.ge
www.central.ge
+995322880088
Head Office: 2 G. Saakadze 2nd Lane, Tbilisi, Georgia

Videomonitoring Regulations

ვიდეომონიტორინგის წესი

შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მიერ.

info@central.ge
www.central.ge
+995322880088
Head Office: 2 G. Saakadze 2nd Lane, Tbilisi, Georgia

მუხლი 1: წესის მიზანი

წინამდებარე დებულების მიზანია მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ცენტრალმა“ (შემდგომში - ორგანიზაცია) განსაზღვროს ვიდეომონიტორინგის მიზანი და მოცულობა, ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა და ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა, ვიდეოჩანაწერზე წვდომის, მისი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის ორგანიზაციულ-ტექნიკური მექანიზმები.

მუხლი 2: ტერმინების მნიშვნელობა

წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 3: ვიდეომონიტორინგის განხორციელების პრინციპები

1. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

ა) *კანონიერების პრინციპი* - ვიდეომონიტორინგი უნდა განხორციელდეს კანონიერად, სამართლიანად, ვიდეომონიტორინგის განხორციელებით მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებულ იქნეს მხოლოდ ამ წესით გათვალისწინებული მიზნებისთვის;
ბ) *ინფორმირებულობის პრინციპი* - ვიდეომონიტორინგის განხორციელება უნდა უზრუნველყოფდეს მონაცემთა სუბიექტის მკაფიო, აშკარა ინფორმირებას ვიდეომონიტორინგის განხორციელების თაობაზე. დაუშვებელია, ორგანიზაციის მიერ მონაცემთა სუბიექტის ფარული ვიდეოკონტროლი ან ვიდეოჩაწერა;
გ) *პროპორციულობის პრინციპი* - ორგანიზაციაში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების ოპტიკური რაკურსი და დაფარვის მასშტაბი უნდა შეესაბამებოდეს ამ წესით გათვალისწინებულ მიზნებსა და საფუძვლებს;
დ) *გონივრულობის პრინციპი* - ვიდეომონიტორინგის განხორციელებით მოპოვებული მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს ავტომატურ რეჟიმში;
ე) *მონაცემთა უსაფრთხოების პრინციპი* - ვიდეომონიტორინგის განხორციელებით მოპოვებული მონაცემები უნდა ინახებოდეს უსაფრთხოდ, ინფორმაციული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონაცემების დაცვა უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან;
ვ) *კონფიდენციალურობის პრინციპი* - ვიდეომონიტორინგის განხორციელებით მოპოვებული მონაცემები/ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ ამ წესით განსაზღვრული პირებისთვის;
ზ) *მონაცემების შეზღუდული ხელმისაწვდომობის პრინციპი* - ვიდეოჩანაწერზე წვდომა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 4: ვიდეომონიტორინგის მიზანი და მოცულობა

info@central.ge
www.central.ge
+995322880088
Head Office: 2 G. Saakadze 2nd Lane, Tbilisi, Georgia

1. ორგანიზაციაში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება ვიდეოჩაწერისა და ვიდეოკონტროლის ფორმით, აუდიოჩაწერის გარეშე, მხოლოდ იმ ვიდეოკამერებით, რომლებიც დამონტაჟებულია ორგანიზაციის მიერ.
2. ორგანიზაციაში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის, პირის უსაფრთხოების, საკუთრების დაცვის, დისციპლინური გადაცდომის პრევენციის/აღმოჩენის და ორგანიზაციის მიერ მასზე კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესრულების მიზნით.
3. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება ორგანიზაციის შენობებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში, კერძოდ:

ა) შენობის ყველა შესასვლელსა და გასასვლელში;
ბ) სალაროების სივრცეში, სადაც ვიდეომონიტორინგის რაკურსი და მასშტაბი მოიცავს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ვიდეოკონტროლსა და ვიდეოჩაწერას;
გ) ორგანიზაციის უძრავი ქონების მიმდებარე ტერიტორიაზე ღია სივრცეში.

4. შენობის ყველა გასასვლელისა და შესასვლელის, ასევე უძრავი ქონების მიმდებარე ტერიტორიაზე ღია და შიდა სივრცეში ვიდეომონიტორინგის განხორციელებას მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ავალდებულებს "მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის ბრძანება №58/04. აღნიშნული ბრძანების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ვიდეომეთვალყურეობის სისტემა უნდა განთავსდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შიგნით და გარეპერიმეტრზე. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შიგნით უნდა განთავსდეს ისეთი განლაგებით, რომ შესაძლებელი იყოს შემომსვლელი პირების ვიზუალურად დანახვა და იდენტიფიკაცია." იმავე კანონის იმავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში სათავო ოფისში და მის ქვედანაყოფებში იქონიოს ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა."
5. სალაროების ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანი არის ანგარიშსწორების პროცესის კონტროლი.

მუხლი 5: ვიდეოკონტროლის განხორციელება

ორგანიზაციაში ვიდეოკონტროლი ხორციელდება ორგანიზაციაზე კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით. უსაფრთხოების მიზნებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს ვიდეოჩანაწერის კონკრეტული მონაკვეთის ამოღება და მისი გადამოწმება. ასეთ შემთხვევაში, ვიდეოჩანაწერის წვდომაზე უფლებამოსილი პირები განსაზღვრულია შემდგომ მუხლში.

მუხლი 6: ვიდეოჩაწერის წესი

1. ამ წესით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველყოფისთვის ორგანიზაციის ყველა ვიდეოკამერით ხორციელდება ვიდეოჩაწერა უწყვეტად, 24 საათის რეჟიმში.

info@central.ge
www.central.ge
+995322880088
Head Office: 2 G. Saakadze 2nd Lane, Tbilisi, Georgia

2. ვიდეოჩანაწერი ინახება ორგანიზაციის სერვერზე, რომელიც განთავსებულია იზოლირებულ და დაცულ სივრცეში, ჩაკეტილ მდგომარეობაში.
3. ვიდეოჩანაწერზე წვდომის უფლება აქვს ორგანიზაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომლებს.
4. უფლებამოსილი პირი ვალდებულია:

ა) არ განახორციელოს ვიდეოჩანაწერის ფოტოგადაღება ან/და ვიდეოჩაწერა;
ბ) არ განახორციელოს ვიდეოჩანაწერის, მისგან მიღებული ინფორმაციის/მონაცემის რაიმე ფორმით შენახვა, გავრცელება, დაბეჭდვა, ნებისმიერი მესამე პირისთვის გადაცემა/გაგზავნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და როდესაც ვიდეოჩამწერი მოწყობილობის ჩაწერის არეალში მოექცევა მესამე პირი ან მესამე პირის ქონება.

5. ორგანიზაცია ვალდებულია, ვიდეოჩანაწერზე წვდომის თითოეული შემთხვევა აღრიცხოს ელექტრონულად, ყოვლისმომცველად, მათ შორის, წვდომის დროისა და მომხმარებლის სახელის მითითებით.
6. უფლებამოსილი პირების ვიდეოჩანაწერზე დაშვება ხორციელდება მხოლოდ განპიროვნებული მომხმარებლის სახელითა და ინდივიდუალური პაროლის გამოყენებით.

მუხლი 7: ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა და განადგურება

1. ვიდეოჩანაწერი ინახება არანაკლებ 30 დღე.
2. ვიდეოჩანაწერის განადგურება/წაშლა ხდება ავტომატურ რეჟიმში ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის გასვლისთანავე, ვიდეოჩანაწერის აღდგენის შესაძლებლობის გარეშე.
3. დაუშვებელია უფლებამოსილი ან სხვა პირის მიერ ვიდეოჩანაწერის არაავტომატურ განადგურება/წაშლა.

მუხლი 8: დასაქმებული პირის სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი

1. ანგარიშსწორების პროცესისა და ორგანიზაციის შემოსასვლელების ეფექტურად დაცვის მიზნით ხორციელდება ფილიალებში დასაქმებული პერსონალის სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი. აღნიშნული სივრცეების კონტროლს ორგანიზაციას ავალდებულებს "მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის ბრძანება №58/04.
2. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ვალდებულია, ყველა დასაქმებული პირი, რომელთა სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი ხორციელდება, წერილობით გააფრთხილოს ვიდეომონიტორინგის კონკრეტული მიზნის (მიზნების) შესახებ, რასაც დასაქმებული ადასტურებს ხელმოწერით.

მუხლი 9: ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ვიდეომონიტორინგის აკრძალვა

ორგანიზაციაში აკრძალულია ვიდეომონიტორინგის განხორციელება ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში.

info@central.ge
www.central.ge
+995322880088
Head Office: 2 G. Saakadze 2nd Lane, Tbilisi, Georgia

მუხლი 10: ვიდეომონიტორინგის თაობაზე გაფრთხილება

1. ორგანიზაციაში თითოეული ვიდეოკამერის მიმდებარედ თვალსაჩინოდ განთავსებულია ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი, რომლის წარწერის ზომა, ფერი და განთავსების ადგილი ქმნის მის მარტივად და აშკარად აღქმის შესაძლებლობას.
2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაცვის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად მიიჩნევა.
3. 2024 წლის 1 მარტის შემდეგ განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშანი სავალდებულოა შეიცავდეს მარტივად აღქმად წარწერას და გამოსახულებას ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის თაობაზე, ორგანიზაციის სახელწოდებასა და ორგანიზაციის საკონტაქტო მონაცემებს.

მუხლი 11: ფოტო-ვიდეო გადაღების აკრძალვა

ორგანიზაციის ტერიტორიაზე დასაქმებულებისა და სხვა პირების მიერ აკრძალულია ფოტო-ვიდეო გადაღება.

მუხლი 12: ვიდეოჩანაწერის გაცნობის ან/და გამოთხოვის უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, განცხადებით მიმართოს ორგანიზაციას და გაეცნოს მის შესახებ არსებულ ვიდეოჩანაწერს ადგილზე ან/და უსასყიდლოდ მიიღოს მისი ასლი მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით.
2. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სუბიექტი ითხოვს ვიდეოჩანაწერის მატერიალური ფორმით გადაცემას, იგი ვალდებულია ორგანიზაციას წარუდგინოს ფლეშ მეხსიერების ბარათი.
3. მონაცემთა სუბიექტის მიერ ვიდეოჩანაწერის ადგილზე გაცნობისას ან მონაცემთა სუბიექტისთვის ვიდეოჩანაწერის ასლის გადაცემისას, ორგანიზაცია ვალდებულია, განახორციელოს ვიდეოჩანაწერში არსებული პირების (გარდა მონაცემთა სუბიექტისა) დეპერსონალიზაცია იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს მათი იდენტიფიცირება.
4. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ არსებულ ვიდეოჩანაწერს ან/და მიიღოს მისი ასლი მატერიალური/ელექტრონული ფორმით მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
5. ვიდეოჩანაწერის დეპერსონალიზაციის განხორციელებისთვის მონაცემთა სუბიექტი იხდის საფასურს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ფაქტობრივად დახარჯული რესურსის ოდენობას.

მუხლი 13: მონიტორინგი

1. ამ წესის დაცვასა და აღსრულებაზე გეგმიურ და არაგეგმიურ მონიტორინგს ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
2. ორგანიზაციაში დასაქმებული პირი ვალდებულია, ხელი არ შეუშალოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს მონიტორინგის განხორციელების პროცესში, დაემორჩილოს მის კანონიერ მოთხოვნას, შეუფერხებლად, წინასწარი თანხმობის

info@central.ge
www.central.ge
+995322880088
Head Office: 2 G. Saakadze 2nd Lane, Tbilisi, Georgia

გარეშე დაუშვას ვიდეოჩანაწერის სისტემებში, ორგანიზაციის შენობის ყველა შესასვლელსა და გასასვლელში; შენობის ყველა სართულის დერეფანში; სალაროში; ორგანიზაციის უძრავი ქონების მიმდებარე ტერიტორიაზე ღია სივრცეში.

3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ვალდებულია, დაემორჩილოს ორგანიზაციის თანამშრომლის კანონიერ მოთხოვნას და საქმიანობა განახორციელოს შესაბამისი ეკიპირებით.

მუხლი 14: პასუხისმგებლობა

ამ წესის დარღვევისთვის პირს დაეკისრება ორგანიზაციის შინაგანაწესით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მუხლი 15: ძალაში შესვლა

წინამდებარე დოკუმენტი ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 16: დოკუმენტის განახლება და დამატებითი ინფორმაცია

წინამდებარე დოკუმენტი ექვემდებარება საჭიროებისამებრ განახლებას.

2024 წლის 01 აგვისტო